მოკვლევისა და საპასუხო მოქმედებების შესახებ პროცედურა

14 ივნისი, 2023

შინაარსი

0. ვერსიის შესახებ ისტორია 3

1. მიზანი 4

2. მოკვლევის პროცედურა 4

2.1. პრევენციული მოკვლევა 4

2.2. ინციდენტის დამადასტურებელი მოკვლევა 5

2.2.1. დარღვევის ნიშნების წარმოშობა 6

2.2.1.1. მოდელის ზედამხედველობის დროს გამოვლენილი საკითხები 6

2.2.1.2. შეტყობინებების მიღება მხილების არხის მეშვეობით და ანალიზი 6

2.2.1.3. სხვა საშუალებებით მიღებული შეტყობინებები 8

2.2.2. მოკვლევის ფაზები 9

2.2.2.1. მოკვლევის დოკუმენტაცია 10

2.3. დაცვითი მოკვლევა 11

2.4. მამხილებლის და მხილების სუბიექტი პირის დაცვითი ზომები 11

2.4.1. მოკვლევის დოკუმენტაცია 12

3. ანგარიშგება და საპასუხო მოქმედება 12

3.1. მოსაკვლევი საკითხის წარდგენა 12

3.2. შესაბამისი ზომების მიღება 13

3.3. ცვლადი ანაზღაურება 14

3.4. მოკვლევის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა და შენახვა 14

დანართი. დარღვევის ნიშნების იდენტიფიკაციისას საპასუხო მოქმედებების მოდელის გრაფიკული გამოსახვა ..... ¡Error! Marcador no definido.

0. ვერსიის შესახებ ისტორია

ვერსია	თარიღი	ცვლილებები
1	27 ივნისი, 2018	საწყისი ვერსია
2	28 ივლისი, 2020	3.1. მოსაკვლევი საკითხის წარდგენა 3.2. შესაბამისი ზომების მიღება 3.3. ცვლადი ანაზღაურება
3	14 ივნისი, 2023	ნაწილი 2.2.1.2 შეტყობინებების მიღება მხილების არხის მეშვეობით და ანალიზი ნაწილი 2.4. მამხილებლის და მხილების სუბიექტი პირის დაცვითი ზომები ნაწილი 3.2. შესაბამისი ზომების მიღება ნაწილი 3.4. მოკვლევის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა და შენახვა

1. მიზანი

ამ დოკუმენტის მიზანია შეიმუშაოს სახელმძღვანელო მითითებები, პროცედურა, ინსტრუმენტები და მექანიზმები, რომ ორგანიზაციაში მოკვლევების მართვა უზრუნველყოფილი იქნას დანაშაულის პრევენციის მოდელისა და ეთიკისა და ქცევის კოდექსის (შემდგომში „მოდელი“) ზედამხედველობის ფარგლებში, მიზნობრივად და შესაბამისობის კომიტეტისა და საბჭოს მდივნისათვის ანგარიშის წარდგენთ.

2. მოკვლევის პროცედურა

შესაბამისობის კომიტეტის, როგორც დანაშაულის პრევენციის სტრუქტურული ერთეულის, ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ზედამხედველობაა. ზედამხედველობა ხორციელდება რიგი აქტივობებით, ერთ-ერთი საყურადღებო აქტივობაა მოკვლევის ჩატარება, რომელიც, შესაბამისი მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც პრევენციული, ინციდენტის დამადასტურებელი ან დაცვითი ხასიათის მოკვლევად.

მოკვლევის სახეები:

- **პრევენციული:**

როდესაც სამსახურეობრივი საქმიანობისას გამოვლინდება ნებისმიერი დარღვევა, რაც მიუთითებს დანაშაულის პრევენციის მოდელის შინაარსისა და ეფექტურობის გადახედვის საჭიროებას.

- **ინციდენტის დამადასტურებელი**

მოკვლევა, რომელიც მიზნად ისახავს დაადასტუროს დანაშაულის არსებობა, როდესაც ასეთი დანაშაულის ჩადენის ნიშნები გამოვლენილია შემდეგი გზით:

  - დანაშაულის პრევენციის მოდელის ჩვეულებრივი ან პრევენციული გადახედვის ფარგლებში.
  - შეტყობინებები/საჩივრები მიღებული მხილების არხის მეშვეობით.
  - ნებისმიერი სხვა შეტყობინება მიღებული შეტყობინების ნებისმიერი არხით.

- **დაცვითი:**

მოკვლევა, რომელიც მიზნად ისახავს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემსუბუქებას ან მისი ასეთი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას, როდესაც არსებობს FCC-ის, როგორც იურიდიული პირის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდება.

2.1. პრევენციული მოკვლევა

მოდელის შინაარსისა და ეფექტურობის პერიოდული მოკვლევები წარმოადგენს მიმდინარე ზედამხედველობის ნაწილს, აღსრულების თავისუფლების უფლებამოსილებით და განსაზღვრულია კორპორატიული შესაბამისობის ოფიცრის სამუშაო გეგმაში, რომელიც დამტკიცებულია შესაბამისობის კომიტეტის მიერ და უმეტესწილად ხორციელდება შიდა აუდიტთან, ისევე, როგორც ბიზნეს ერთეულის შესაბამისობის ოფიცრებთან თანამშრომლობით. ამგვარი აქტივობების დოკუმენტირების უზრუნველსაყოფად, მოკვლევა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კონკრეტული მოკვლევის ფარგლების განსაზღვრა გეგმის სახით.

ბ) მოკვლევის შესახებ ინფორმაციის შეგროვება, რაც, საჭიროების შემთხვევაში, მოიცავს შემდეგ აქტივობებს:

ა. გასაუბრებები, რომლებიც ტარდება შესაბამის პროცესებზე პასუხისმგებელ პირებთან შემდგომი ინფორმაციის შეგროვებისა და პროცესში უკეთ გათვითცნობიერების მიზნით, ასევე მიზანშეწონილად მიჩნეული მტკიცებულებებისა და/ან სამხილების მოპოვების მიზნით.

ბ. ინფორმაციის გამოთხოვა შესაბამისი დეპარტამენტებისგან (სამხილი), საჯარო რეესტრებიდან და მესამე მხარეებისგან.

გ. სამუშაო და საკომუნიკაციო ინსტრუმენტებზე (ტექნოლოგიური რესურსები), მათ შორის კორპორატიულ ელ. ფოსტასა და სხვა საკომუნიკაციო არხებზე წვდომა, პირადი კონფიდენციალურობის პატივისცემით მოქმედი კანონმდებლობის და ტექნოლოგიური რესურსების გამოყენების პოლიტიკის შესაბამისად; მოდელთან დაკავშირებული აქტივობების შინაარსისა და ეფექტურობის შემოწმებისა და ასეთი რესურსების სათანადო გამოყენების მიზნით სპეციფიკური აქტივობების შესრულება. გაითვალისწინეთ, რომ არსებობს ტექნოლოგიური რესურსების გამოყენების პოლიტიკა ან სახელმძღვანელო, რომელიც არეგულირებს ამ რესურსებზე განთავსებულ ინფორმაციაზე წვდომას, რომლის შესახებაც თანამშრომლები ინფორმირებული არიან და რომელიც არ ითვალისწინებს კონფიდენციალურობას.

დ. სხვა საშუალებები, როგორც და როცა ამას მოითხოვს მოკვლევა.

გ) მოკვლევის შემაჯამებელი ანგარიშის მომზადება და შესაბამისობის კომიტეტისთვის წარდგენა. მოკვლევის დასრულების შემდეგ მომზადდება ანგარიში, რომელიც მოიცავს მოკვლევის შედეგებს, შემდგომ ქმედებებს და, საჭიროების შემთხვევაში, განსახორციელებელ ზომებს (ასევე, განსაზღვრავს პირებს, რომლებსაც დაევალებათ ამ ზომების შესრულება). ანგარიშში დეტალურად იქნება აღწერილი მონაცემები და რესურსები, რომლებიც მოკვლევაში იყო გამოყენებული და რომელსაც ეფუძნება მოკვლევის შედეგები.

დ) მიზნობრივად შექმნილ დაცულ მონაცემთა ბაზაში მოკვლევის შესახებ დოკუმენტაციის შეტანა და შენახვა.

თუ პრევენციული მოკვლევის მსვლელობისას გამოვლინდა ეთიკისა და ქცევის კოდექსის დარღვევის ან რაიმე სახის დარღვევის ნიშნები, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს FCC-ისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ამოქმედდება შეტყობინების და ინციდენტის დამადასტურებელი მოკვლევის პროცესი, რომელიც აღწერილია ქვემოთ.

2.2. ინციდენტის დამადასტურებელი მოკვლევა

ინციდენტის დამადასტურებელი მოკვლევის პროცესი იწყება პოტენციური დანაშაულის დადასტურების მიზნით, თუ იკვეთება კომპანის სისხლის სამართლის დანაშალი ან ეთიკის და ქცევის კოდექსის დარღვევა პასუხისმგებლობის გამომწვევი ქმედებებით, შემდეგი გარემოებების შემთხვევაში:

- როდესაც მოდელის პერიოდული ზედამხედველობის დროს ვლინდება დარღვევის ნიშნები (პრევენციული გამოძიებები მოდელის ყოველწლიური გეგმის ფარგლებშია).
- როდესაც ნებისმიერი ტიპის შეტყობინება მიიღება ეთიკის არხის მეშვეობით.
- როდესაც შეტყობინება რაიმე მოვლენის შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოადგენდეს ეთიკისა და ქცევის კოდექსის დარღვევას ან პოტენციურ შეურაცხყოფას, მიიღება

კომუნიკაციის ან ინფორმაციის დაფიქსირების რაიმე სხვა საშუალებით.

ზემოთ აღწერილ თითოეულ სცენარში, მოკვლევის პროცესი მსგავსია - მოკვლევა მიმდინარეობს შესაბამისობის კომიტეტის მიერ დამტკიცების შემდეგ, კორპორატიული შესაბამისობის ოფიცრის მიერ წინასწარი ანალიზის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, შესაბამისობის ოფიცრის მიერ კომიტეტისთვის ინფორმაციის და შიდა ანგარიშის წარდგენის წესი და ვადები უნდა ითვალისწინებდეს ინციდენტის პოტენციურ შედეგებს.

2.2.1. დარღვევის ნიშნების წარმოშობა

2.2.1.1. მოდელის ზედამხედველობის დროს გამოვლენილი საკითხები

თუ მოდელის ფარგლებში ზედამხედველობის ჩვეულ პროცესში გამოვლინდება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის ან ეთიკისა და ქცევის კოდექსის დარღვევის რაიმე ნიშანი, მოდელის შინაარსისა და ეფექტურობის დადგენის მიზნით, კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერი თავისი უფლებამოსილებით, ზედამხედველობის პროცესის მხარდაჭერისთვის, სათანადოდ დაახარისხებს გამოვლენილ ფაქტებს (მაღალი რისკი, საშუალო რისკი, სხვა) და აცნობებს შესაბამისობის კომიტეტს მომდევნო ყოველთვიურ სხდომაზე; შემდეგ ამ უკანასკნელს შეუძლია დათანხმდეს მოკვლევის ფაზის დაწყებას, 2.2.2 პუნტში განსაზღვრულის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, კომიტეტისთვის ინფორმირებისა და მოხსენების მექანიზმი შეიძლება ითვალისწინებდეს გამოვლენილი ფაქტების მნიშვნელოვნებას და დარღვევების პოტენციურ შედეგებს, ან ასეთი დარღვევების შესახებ ცნობილი გახდეს მოდელის ზედამხედველობის პროცესისგან დამოუკიდებლად, რა დროსაც შეიძლება კომიტეტი შეიკრიბოს სასწრაფო წესით.

2.2.1.2. შეტყობინებების მიღება მხილების არხის მეშვეობით და ანალიზი

- **მიღება.** ეთიკისა და ქცევის კოდექსის და/ან დანაშაულის პრევენციის მოდელის რაიმე დარღვევის შესახებ ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში, ნებისმიერ პირს შეუძლია განაცხადოს დარღვევის შესახებ ამ მიზნით შექმნილი მხილების არხის მეშვეობით, მხილების არხის პროცედურების შესაბამისად. როდესაც კორპორატიული ან ბიზნესის შესაბამისობის ოფიცერი იღებს შეტყობინებას ან აქვს ინფორმაცია ეთიკისა და ქცევის კოდექსის და/ან დანაშაულის პრევენციის მოდელის პოტენციური დარღვევის შესახებ, ეს ინციდენტი ჩართული უნდა იყოს მხილების არხის ციკლში. შესაბამისობის ოფიცერს ეკისრება ასეთი შეტყობინებების მიღების, მიღების დადასტურების, კლასიფიკაციის და შეფასების პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, შესაბამისობის კომიტეტის ინფორმირებამდე.

  შესაბამისობის ოფიცერი მიიღებს შეტყობინებას ან ექნება ინფორმაცია ეთიკისა და ქცევის კოდექსის ან/და დანაშაულის პრევენციის სახელმძღვანელოს შესაძლო დარღვევაზე, საკითხი უნდა ჩართოს მხილების არხის ციკლში. როდესაც შეტყობინება მიიღება ეთიკის არხის გარდა სხვა არხებით, შეტყობინების მიმღებს აქვს ვალდებულება გადაამისამართოს შეტყობინება კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერთან, როგორც შიდა საინფორმაციო სისტემაზე პასუხისმგებელ პირთან.
- **ანალიზი.** კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერი ჩაატარებს ანალიზს, შეტყობინების ტიპის დასადგენად თითოეული კლასიფიკაციის მიხედვით:

- ***განხილვა:*** როდესაც ანგარიშის წარმდგენი მხარე გამოთქვამს ეჭვს, დეკლარირებისგან განსხვავებით, იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება იყოს ეთიკისა და ქცევის კოდექსის ან დანაშაულის პრევენციის მოდელის დარღვევა, კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერი უპასუხებს ასეთ მხარეს არაუმეტეს შვიდი კალენდარული დღის ვადაში ან გადაუგზავნის შეტყობინებას ბიზნეს ერთეულის შესაბამისობის ოფიცრებს, არაუმეტეს შვიდი კალენდარული დღის განმავლობაში.
- ***არარელევანტური შეტყობინება/საჩივარი:*** როდესაც განსახილველი შეტყობინებები/საჩივრები არ უკავშირდება ეთიკისა და ქცევის კოდექსის ან დანაშაულის პრევენციის მოდელის დარღვევას ან არ გულისხმობს რაიმე სახის უკანონო ქმედებას კორპორატიული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობით, კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერი არაუმეტეს შვიდი კალენდარული დღის პერიოდში მამხილებელს აცნობებს მხილების არხში შეტყონიების მიუღებლობის შესახებ.
- **რელევანტური შეტყობინება/საჩივარი:** როდესაც შეტყობინება/საჩივარი მიიღება განსახილველად, როგორც ეთიკისა და ქცევის კოდექსის ან დანაშაულის პრევენციის მოდელის პოტენციური დარღვევა, კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერი მას დააკლასიფიცირებს შემდეგში განსაზღვრული სამი კატეგორიიდან ერთ-ერთში.

- **კლასიფიკაცია.** რელევანტური შეტყობინებების ან საჩივრების რისკის კლასიფიკაცია. (დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ მხილების არხის პროცედურა):
  - ***მაღალი რისკი:*** საჩივრები, რომლებიც დაკავშირებულია მმართველი რგოლის ან რომელიმე სხვა თანამშრომლის მიერ ჩადენილ ქმედებებთან და რომლებმაც შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის რისკის ქვეშ დააყენონ იურიდიული პირი.
  - ***საშუალო რისკი:*** შეტყობინებები FCC ჯგუფის ან იურიდიული პირის რეპუტაციაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების გარეშე, ძირითადად ეთიკისა და ქცევის კოდექსის დარღვევებთან დაკავშირებით.
  - ***სხვა შეტყობინებები:*** სხვა შეტყობინებები ნიშნავს შეტყობინებებს, რომლებიც, მათი თემატიკიდან გამომდინარე, არ განეკუთვნება შესაბამისობის კომიტეტის კომპეტენციას და, მაშინაც კი, როდესაც საინფორმაციო მიზნებისთვის კომიტეტს წარედგინება ანგარიში კორპორატიული შესაბამისობის ოფიცრის მიერ, ამ უკანასკნელს დაეკისრება ამგვარი შეტყობინებების განხილვისა და გადაწყვეტის დელეგირება ორგანიზაციის სხვა კონკრეტულ სტრუქტურულ ერთეულთან, როდესაც ეს მიზანშეწონილი იქნება.

- **ანგარიშის შედგენა:** მას შემდეგ, რაც საჩივართან დაკავშირებული დოკუმენტაცია განიხილება, კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერი მოამზადებს ანგარიშს შესაბამისობის კომიტეტის შესაფასებლად. ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
  - შეტყობინების კლასიფიკაციის ფაილი.
  - მოხსენებული ინციდენტის ამსახველი ინფორმაცია.
  - შინაარსისა და შესაბამისი გარემოებების შეფასება.
  - პოტენციური სამართალდარღვევის იდენტიფიცირება და მისი გავლენა იურიდიულ პირზე.
  - მიღებული ინფორმაციის ანალიზი და მოკვლევის საჭიროებისთვის შემოთავაზებული შეფასება.

- მართული მსგავსი შეტყობინებებისთვის შემოთავაზებული ზომები და გამოსავალი შიდა კონტროლის ნებისმიერი პოტენციური სისუსტეებისთვის.

შესაბამისობის ოფიცერმა შეიძლება ჩაატაროს წინასწარი მოკვლევა მოხსენებული ინციდენტის შესახებ ანგარიშის შედგენის მიზნით.

- **შეთავაზებული ქმედებები:** შეთავაზებული რეზოლუცია ან მოკვლევის შესახებ შეთავაზებული პროცესი.

გადაუდებელ შემთხვევაში, შესაბამისობის კომიტეტი იქნება ინფორმირებული სხდომასთან დაკავშირებით, ან შეიძლება დაინიშნოს საგანგებო სხდომა შესაბამისობის კომიტეტის რეგლამენტში აღწერილი პროცედურების შესაბამისად.

2.2.1.3. სხვა საშუალებებით მიღებული შეტყობინებები

თუ შეტყობინება მიღებული იქნება რაიმე სხვა საშუალებით, მაგალითად:

- სასამართლოს შეტყობინება ან მოთხოვნა (ჩვეულებრივ მიღებული ბიზნესის იურიდიული მრჩევლის მიერ).
- სიახლეები მედიაში.
- სახელმწიფო უსაფრთხოების ძალების მიერ განხორციელებული ქმედებები.

მიიღება შემდეგი ზომები:

პირველ ორ შემთხვევაში, იმ პირობით, რომ სისხლის სამართლის დანაშაული ჩაითვლება მაღალ რისკად ან როდესაც ამას მოითხოვს საკითხის კრიტიკულობა, მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელია იურიდიული საბჭო, რომელიც იღებს შეტყობინებას, ან კომუნიკაციების მენეჯერი ან პირი, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი ახალი ამბების იდენტიფიკაციაზე. ინფორმაცია უნდა მიეწოდოს გენერალურ სამდივნოს და/ან იურიდიული საბჭოს გენერალური ხელმძღვანელობას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ამგვარი რისკის კრიტიკულობის შეფასებაზე.

ორგანიზაციისთვის კრიტიკული რისკი უნდა ჩაითვალოს შემდეგი სცენარების შემთხვევაში:

- დანაშაულები, რომლებიც დაკავშირებულია კორუფციასთან, მექრთამეობასა და გავლენით ვაჭრობასთან/სარგებლის მიღებასთან.
- ბუნებრივ რესურსებთან და გარემოსთან დაკავშირებული დანაშაულები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ FCC ჯგუფზე.
- თაღლითობა ფინანსური ანგარიშების მომზადებისას, რომლის გავლენაც მატერიალურია.
- ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულები.
- პოლიტიკური პარტიების დაფინანსება.

თუ დადგინდება, რომ შეტყობინება არ წარმოადგენს სერიოზულ რისკს ორგანიზაციისთვის, კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერს ეცნობება ამის შესახებ, რათა მოხდეს რისკის კლასიფიცირება და, საჭიროების შემთხვევაში, ჩატარდეს დამადასტურებელი მოკვლევა ფაქტების გადასამოწმებლად. კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერმა შეიძლება გამოიყენოს ბიზნესის შესაბამისობის ოფიცრების მხარდაჭერა, იმისდა მიხედვით, თუ რომელ კომპანიაზე ვრცელდება შეტყობინება. ბიზნესის იურიდიული მრჩეველი ასევე ინფორმირებული იქნება შეტყობიენების სათანადოოდ კლასიფიკაციისთვის.

თუ შეტყობინება ჩაითვლება მნიშვნელოვან რისკად ორგანიზაციისთვის, მიღების დღეს ან

მომდევნო დღეს, გენერალური მდივნის აპარატი ან/და იურიდიული საბჭოს გენერალური ხელმძღვანელობა დაუყოვნებლივ აცნობებს აღმასრულებელ დირექტორს (CEO), კომუნიკაციების ხელმძღვანელს და/ან შესაბამისი ბიზნესის განყოფილების იურიდიულ კონსულტანტებს, რათა მათ შეეძლოთ კოორდინაცია გაუწიონ კომუნიკაციას და დასაგზავნ შეტყობინებებს, ამასთანავე შეაფასონ შეტყობინებაზე რეაგირების კრიტერიუმები და დაცვის მექანიზმები, სადაც ეს შესაძლებელია.

გარდა ამისა, ან გენერალური მდივანი ან იურიდიული საბჭოს გენერალური მენეჯერი აცნობებენ კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერს ფაქტების შესახებ, რათა ამ უკანასკნელმა მოიწვიოს შესაბამისობის კომიტეტის საგანგებო სხდომა ორი სამუშაო დღის ვადაში, წარადგინოს ფაქტები და მოითხოვოს თანხმობა დამადასტურებელი მოკვლევის პროცესის ექსპერტიზის ფაზის დაწყებისა და გამომძიებლის დანიშვნის შესახებ.

მესამე სცენარში, კანონის მიღების შემთხვევაში, პოლიციის თანამშრომლების მიღებაზე პასუხისმგებელმა პირმა (მიმღები) უნდა აცნობოს ბიზნესის მენეჯერს, გენერალურ მდივანს და კორპორატიული იურიდიული საბჭოს გენერალურ ხელმძღვანელობას უსაფრთხოების ძალების მოსვლის შესახებ. ბიზნესის მენეჯერი პასუხისმგებელია ამ ფაქტის შესახებ აცნობოს ბიზნესის ხელმძღვანელს და ბიზნესის იურიდიულ საბჭოს, ხოლო გენერალურმა მდივანმა და/ან იურიდიული საბჭოს გენერალურმა ხელმძღვანელობამ უნდა აცნობოს აღმასრულებელ დირექტორს (CEO) და კომუნიკაციების ხელმძღვანელს, საგანგებო კომუნიკაციის მართვის მექანიზმის დანერგვის მიზნით. როდესაც ყველა მხარე იქნება ინფორმირებული, ბიზნესის იურიდიული საბჭო და იურიდიული საბჭოს გენერალური მდივანი/გენერალური მენეჯერი შეასრულებენ მოვლენის სერიოზულობის წინასწარ შეფასებას და აცნობებენ კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერს, რათა მოხდეს შესაბამისობის კომიტეტის საგანგებო სხდომის მოწვევა მომდევნო ორი სამუშაო დღის განმავლობაში.

ამ წინასწარი შეფასების შემდეგ უნდა დადგინდეს, გაეწიოს თუ არა დასაქმებულს იურიდიული დახმარება, ამ შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართლებრივი სტრატეგია უნდა განისაზღვროს, შეფასდეს და დამტკიცდეს აღმასრულებელი დირექტორის მიერ (CEO), საჭიროების შემთხვევაში ობლიგაციების გადახდით. თუ დასაქმებულს არ გაეწევა დახმარება, საჭიროა შეფასდეს პოტენციური ზეგავლენა იურიდიულ პირზე, ისევე როგორც დაცვითი მოკვლევის ჩატარების აუცილებლობა.

2.2.2. მოკვლევის ფაზები

მიღებული ინფორმაციის, არსებული რისკის და ფაქტების კლასიფიკაციის მიხედვით, შესაბამისობის კომიტეტი განსაზღვრავს მოკვლევის ფაზებს, რომლებიც აუცილებელია პროცესის ანალიზისა და მოვლენის დაზუსტებისთვის.

კერძოდ, შესაბამისობის კომიტეტი შეასრულებს შემდეგს:

- წარმომადგენლის ან პირ(ებ)ის იდენტიფიცირება, რომლებიც აჩვენებენ შეუსაბამობის ან არაეთიკური ქცევის ნიშნებს, რათა მათ დაადასტურონ, განახორციელეს თუ არა რაიმე ქმედება ან აქტივობა, რომელიც გულისხმობს სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენას ან ეთიკისა და ქცევის კოდექსის დარღვევას.
- მოკვლევის ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის განსაზღვრა, რომლებიც შეიძლება იყვნენ შიდა წარმომადგენლები (შიდა აუდიტის და/ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მხარდაჭერის მოთხოვნით) ან გარე ექსპერტები ამ საკითხში (გარკვეულ პროცესებში დამოუკიდებლობის უფრო მაღალი დონის უზრუნველსაყოფად, საჭიროების შემთხვევაში), მათი ცოდნისა და კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით.
- რისკის პრევენციის მექანიზმების ფუნქციონირების შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, იმის განსაზღვრა უნდა გადაიხედოს თუ არა ეს უკანასკნელი.

მოკვლევის მსვლელობისას გარანტირებული უნდა იყოს მოკვლევის ქვეშ მყოფი პირების ძირითადი უფლებების დაცვა.

მას შემდეგ, რაც მოკვლევა დამტკიცდება და გამოვლინდებიან პასუხისმგებელი პირები ან შესაბამისობის კომიტეტის მომკვლევი პირები, კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერი პასუხისმგებელი იქნება შეატყობინოს მოკვლევის ჯგუფს ფაქტების, მოკვლევას დაქვემდებარებული საკითხებისა და მისი მექანიზმის შესახებ.

შიდა აუდიტთან კავშირების დამყარების შემთხვევაში, მიღწეული იქნება შეთანხმება კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერსა და შიდა აუდიტის დირექტორს შორის (რომელიც ამ საკითხის მიზნებისთვის კომიტეტის წევრია) შესასრულებელი ტესტების დიზაინზე და გამოძიების შესრულებაზე.

მოკვლევის პროცესში დამოუკიდებელი გარე ექსპერტის მონაწილეობის საჭიროების შემთხვევაში, კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერი მოიწვევს ერთ ან სხვადასხვა მომწოდებელს წინადადებების წარსადგენად, საკითხის კონფიდენციალურობის დაცვით.

2.2.2.1. მოკვლევის დოკუმენტაცია

მოკვლევა მოიცავს სულ მცირე შემდეგ ეტაპებს:

ა) მომკვლევი ჯგუფის დანიშვნა, რომელიც შეიძლება განსხვავდებოდეს იმისდა მიხედვით, მოკვლევა მიმდინარეობს ფიზიკურ პირზე თუ ორგანიზაციაზე.

ბ) შიდა ფაილის გახსნა კორპორატიული შესაბამისობის ოფიცრის მიერ დოკუმენტების შესანახად.

ა. მოკვლევა ფიზიკურ პირზე

- მომხსენებელ მხარეებთან ან ჩართულ პირებთან გასაუბრება, დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და ინციდენტში გასარკვევად. შემტყობინებელმა მხარემ შეიძლება მიიღოს შეთავაზება პირისპირ ან სატელეფონო ინტერვიუს გამართვაზე პროცესის მოკვლევაზე პასუხისმგებელი პირისგან, წარდგინებების დასადასტურებლად, გასავრცელებლად ან კვალიფიცირებისთვის. თუ შემტყობინებელმა მხარემ მოისურვა, მას ასევე შეუძლია წარმოადგინოს წერილობითი წარდგინებები და/ან ნებისმიერი მტკიცებულება ან სამხილი, რომელსაც ის მიიჩნევს სათანადოდ.

- მოხსენებულ მხარეებთან ან მოვლენებში ჩართულ პირებთან გასაუბრება, რათა გაიგოს ამ ამბის მეორე მხარისეული ხედვა და ერთმანეთს შეადაროს მოხსენებული ინციდენტები.

- საჭირო ინფორმაციის გამოთხოვნა დეპარტამენტებიდან, საჯარო რეესტრებიდან და მესამე პირებისგან.

- შესაბამისობის კომიტეტის დამტკიცების შემდეგ, გარე ექსპერტის ანგარიშების გამოთხოვნა.

ბ. მოკვლევა ორგანიზაციაზე

- სავარაუდო დარღვევების ჩადენის თარიღისთვის არსებული კონტროლის მოდელის ეფექტურობის ხარისხის შეფასება.

- მოკვლევის ნებისმიერი სხვა საშუალების გამოყენება, მოქმედ საკანონმდებლო ჩარჩოს გათვალისწინებით.

გ) მოკვლევის მონიტორინგი კორპორატიული შესაბამისობის ოფიცრისა და შესაბამისობის

კომიტეტის მიერ.

დ) მოკვლევა, როგორც წესი, გაგრძელდება არაუმეტეს ორი თვის განმავლობაში, გახანგრძლივდება გარემოებების მიხედვით. ეს ვადა შემცირდება ერთ თვემდე შევიწროების შესახებ საჩივრების შემთხვევაში.

ე) შესაბამისობის კომიტეტისთვის წარდგენის მიზნით, კორპორატიული შესაბამისობის ოფიცრის მიერ შიდა ანგარიშის და სამოქმედო წინადადების მომზადება, რომელიც ასევე მოიცავს შეფასებებს აუცილებელი ქმედებების შესახებ.

2.3. დაცვითი მოკვლევა

დაცვითი ხასიათის მოკვლევა ხორციელდება, როდესაც კომპანიას ბრალი წაუყენეს და სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ამ შემთხვევაში კომპანიამ უნდა დაიწყოს **იურიდიული პირის დაცვა** სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით მტკიცებულებების მოძიებით, რათა მიაღწიოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის VIII და IX თავებით განსაზღვრული კრიტერიუმებით. ამ გზით შეიძლება დადასტურდეს შემდეგი: ა) კომპანიამ მიიღო და ეფექტურად დანერგა ადექვატური მართვის და ორგანიზაციული მოდელი სისხლის სამართლის დანაშაულების თავიდან ასაცილებლად ან მათი ჩადენის რისკის მნიშვნელოვნად შესამცირებლად; ბ) ჩართულმა ფიზიკურმა პირმა ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშაულები ორგანიზაციის მიერ ამგვარი ქმედებების თავიდან ასაცილებლად დანერგილი კონტროლის მექანიზმებზე თაღლითურად თავის არიდებით; და გ) ზედამხედველობის ფუნქცია სათანადოდ იყო განხორციელებული და მის მუშაობაში ხარვეზები არ ყოფილა.

იურიდიული მრჩევლის გენერალური ხელმძღვანელობა განახორციელებს წინასწარ შეფასებას და ასევე ბრალდების სამართლებრივ მართვას და აცნობებს კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერს, რომელიც შემდეგ სასწრაფო წესით მოიწვევს შესაბამისობის კომიტეტის სხდომას, რათა გადაწყვიტოს დაიწყოს და განახორციელოს თუ არა თავდაცვითი სახის მოკვლევა პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიმართ.

2.4. მამხილებლის და მხილების სუბიექტი პირის დაცვითი ზომები

ნებისმიერ პირს, რომელიც დააფიქსირებს შეტყობინებას მხილების არხის მეშვეობით, აქვს უფლება მისი ვინაობა არ იყოს გამჟღავნებული მესამე პირებთან, გარდა მკაცრად აუცილებელი შემთხვევებისა. ასევე, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით და კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, აკრძალულია სამაგიეროს გადახდა, მათ შორის, მამხილებლის წინააღმდეგ მუქარა და შურისძიების მცდელობა.

კატეგორიულად აკრძალულია ცრუ შეტყობინებების არაკეთილსინდისიერად დაფიქსირება. ასეთ შემთხვევაში არ ვრცელდება მამხილებლის დაცვის საკითხი და შესაძლოა მიღებული იქნას შესაბამისი დისციპლინური ზომები, სხვა საპასუხო მოქმედებებზე ზიანის მიყენების გარეშე.

მამხილებლის ვინაობა შეიძლება ეცნობოს მხოლოდ სასამართლო ორგანოს, სახელმწიფო პროკურატურას ან კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს სისხლის სამართლის, დისციპლინური ან მასანქცირებელი გამოძიების ფარგლებში, კანონით გათვალისწინებული პირობებით.

თავის მხრივ, პირს, რომელზეც გავლენს მოახდენს მამხილებელ არხში მიღებული

შეტყობინება (მხილების სუბიექტი), უფლება აქვს, ინფორმირებული იყოს მასთან დაკავშირებული ქმედებების ან უმოქმედობის შესახებ და მოსმენილი იქნას ნებისმიერ დროს. ასეთი ინფორმირება უნდა მოხდეს სათანადო დროს და სათანადო წესით, რომ უზრუნველყოფილი იქნას გამოძიების სათანადოდ ჩატარება.

ამასთან, მხილების სუბიექტს აქვს უდანაშაულობის პრეზუმფციის, დაცვისა და პატივის უფლება, მათი ვინაობის გაუმჟღავნებლობის და მონაცემთა დაცვის და ფაქტთა კონფიდენციალურობის უზრუნველყოფით.

ნებისმიერ შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა შესახებ კანონმდებლობასთან შესაბამისობა გარანტირებულია.

2.4.1. მოკვლევის დოკუმენტაცია

დაცვითი სახის მოკვლევის პროცესი წარიმართება იურიდიულ მრჩეველთან ერთად და იგივე პროცედურების დაცვით, როგორც ინციდენტის დამადასტურებელი მოკვლევის დროს.

3. ანგარიშგება და საპასუხო მოქმედება

3.1. მოსაკვლევი საკითხის წარდგენა

ზემოაღნიშნული რომელიმე კატეგორიის მოკვლევის დასრულების შემდეგ (დამოკიდებულია ზემოაღნიშნული კლასიფიკაცის გათვალისწინებით მოკვლევის კატეგორიაზე) შესაბამისობის კორპორატიული ოფიცერი წარუდგენს მოკვლევის შედეგებს შესაბამისობის კომიტეტს და წარუდგენს წერილობით ანგარიშს, რომელიც უნდა მოიცავდეს, სულ მცირე, შემდეგს:

ა. შეტყობინებების/საჩივრების საწყისი რისკის კლასიფიკაციის ანგარიში (თუ შეტყობინება დაფიქსირებულია მხილების არხის მეშვეობით), რომელიც მოცემული იქნება „პირველადი შეფასების ფაილში“.

ბ. მოკვლევისთვის გამოყენებული მეთოდების მოკლე ანალიზი.

გ. მოკვლევის დოკუმენტირებული და დადასტურებული შედეგები, იმის მითითებით, დაირღვა თუ არა ეთიკისა და ქცევის კოდექსი ან დანაშაულის პრევენციის მოდელი.

დ. მოკვლევის შემდგომი დასკვნები და გასატარებელი ზომები.

მოკვლევის ფაილის წარდგენის შემდეგ, შესაბამისობის კომიტეტი, კორპორატიული შესაბამისობის ოფიცრის მხარდაჭერით, უზრუნველყოფს შემდეგს:

ა) გადადებს საჩივარს, თუ განსახილველი მოვლენა არ იწვევს ეთიკისა და ქცევის კოდექსში ან მოდელში შეტანილი პრინციპებისა და ღირებულებების დარღვევას და არ არის სისხლის სამართლის დანაშაული.

ბ) გადადებს საჩივარს, თუ არ არის საკმარისი მტკიცებულება ან ინფორმაცია იმის დასადგენად, თუ ვინ არის პასუხისმგებელი მოხსენიებულ ინციდენტზე.

გ) ეთიკისა და ქცევის კოდექსის დარღვევის შემთხვევაში, დადგინდება მაკორექტირებელი ღონისძიებები ან/და მიიღება დისციპლინური ზომები.

დ) სისხლის სამართლის დანაშაულის გამოვლენის შემთხვევაში, განიხილება სარჩელის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეტანის შესაძლებლობა, თუ ინციდენტი სათანადოდ დამტკიცებული და დასაბუტებული იქნება.

ე) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის მეთოდი განისაზღვრული იქნება სასამართლოს განჩინებით.

3.2. შესაბამისი ზომების მიღება

შესაბამისობის კომიტეტის დებულების შესაბამისად, შესაბამისობის კომიტეტს აქვს უფლება, დაამტკიცოს და გადასცეს კომპეტენტურ ორგანოს საჭიროდ მიჩნეული ღონისძიებები, ისევე როგორც აქვს უფლება, შესთავაზოს სანქციების გამოყენება. ყველა შემთხვევაში, როდესაც სანქციების გამოყენებაა შემოთავაზებული, მოხდება HR-თან კოორდინაცია.

დისციპლინური გადაცდომების, რომლებიც მოიცავს კანონის, ეთიკისა და ქცევის კოდექსის, ნებისმიერი სხვა შიდა რეგლამენტის ან FCC ჯგუფში დანერგილი სამოქმედო პროტოკოლის დარღვევას და/ან ნებისმიერ უკანონო ან დანაშულებრივ ქმედებას, შესაბამისი სანქციები კლასიფიცირებული იქნება როგორც უმნიშვნელო, სერიოზული ან ძალიან სერიოზული, დარღვევის კონკრეტული გარემოებების და შესაბამისობის კომიტეტის წინადადების გათვალისწინებით.

სანქციის განსაზღვრა და ნებისმიერი სანქციების დაწესების პროცედურა თანხვედრაში იქნება მოქმედი კოლექტიური ხელშეკრულებების დებულებებთან და/ან დასაქმებულთა დებულებების ან კონკრეტული მოქმედი რეგულაციების შეუსრულებლობის პირობებთან და დადგენილი იქნება ჩადენილი უმნიშვნელო, სერიოზული ან ძალიან სერიოზული სახის დანაშაულის მიხედვით.

ნებისმიერ შემთხვევაში, FCC ჯგუფის ნებისმიერ კომპანიაში მაკორექტირებელი ან დისციპლინური ზომების დაწესება არ მოითხოვს, მოკვლევისა და რეაგირების შესახებ პროცედურის მიხედვით მოკვლევის დამუშავებას.

კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერი, ან საჭიროების შემთხვევაში, ბიზნესის შესაბამისობის ოფიცერი, მონიტორინგს გაუწევს მიღებული ზომების ეფექტურ განხორციელებას შესაბამისობის კომიტეტის მიერ მათი დამტკიცებიდან არაუმეტეს სამი თვის განმავლობაში.

ჩვეულებრივი მოკვლევის შემთხვევაში, შესაბამისობის კომიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან ხუთი (5) სამუშაო დღის ვადაში, კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერი მამხილებელ და მხილების სუბიექტ მხარეს აცნობებს გადაწყვეტილებას ელექტრონული ფოსტით, შეტყობინების მიღების დადასტურების მოთხოვნით.

ნებისმიერ შემთხვევაში, მამხილებლისა და მხილების სუბიექტისთვის გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინების გაგზავნის პერიოდმა არ უნდა გადააჭარბოს მამხილებლის შეტყობინების მიღებიდან სამ თვეს, გარდა იმ განსაკუთრებული გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც საკითხის კომპლექსურობის გათვალისწინებით, საჭიროა ვადის გაგრძელება, თუმცა არაუმეტეს დამატებით სამი თვის პერიოდით.

3.3. ცვლადი ანაზღაურება

იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისობის კომიტეტი თანხმობას განაცხადებს მოკვლევის დაწყებაზე მაღალი რისკის შემცველ შეტყობინებასთან და/ან საჩივართან დაკავშირებით, მას შეუძლია შესთავაზოს კომპეტენტურ ორგანოს (დირექტორთა საბჭოს, აღმასრულებელ დირექტორს (CEO) და/ან შესაბამისი მიმართულების მმართველ დირექტორს): (i) ცვლადი ანაზღაურების გეგმაში მონაწილეობის შეჩერება და/ან (ii) მოკვლევის დასრულების შემდეგ, ცვლადი ანაზღაურების გადახდის შემცირება ან შეკავება დარიცხვის პერიოდში და/ან გადახდის მომლოდინე რეჟიმში ქონა და/ან (iii) მოითხოვოს ცვლადი ანაზღაურების მთელი ან ნაწილის დაბრუნება, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო გადახდილი.

ზემოაღნიშნული განხორციელდება შესაბამისი პოლიტიკით რეგულირებული პირობებით და თანმხლები გარემოებების გათვალისწინებით (ზარალის არსებობა, დოკუმენტური მტკიცებულება, მტკიცებულების პრეზუმფცია და ა.შ.).

3.4. მოკვლევის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა და შენახვა

FCC-ს აქვს ინფორმაციის აღრიცხვის მექანიზმი, მიზნობრივად შექმნილი მონაცემთა ბაზა, რომელზე წვდომა შეზღუდულია და დაშვებული მხოლოდ შესაბამისობის კომიტეტის წევრებისა და კორპორატიული შესაბამისობის ოფიცერისთვის. ბაზა სათანადოდ არის დაცული (საჩივრების მართვის სისტემა) მხილების პროცედურით განსაზღვრულის შესაბამისად. მოკვლევის შედეგად შემუშავებული ფაილი შეინახება კორპორატიული შესაბამისობის ოფიცრის მიერ.

სიტყვიერი შეტყობინება, მტკიცებულებათა დაცვის გარანტიისთვის, მამხილებლის თანხმობით, უნდა იყოს დოკუმენტირებული საუბრის ჩაწერით, უსაფრთხო, სანდო და ხელმისაწვდომი ფორმატით ან მის მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ სიტყვიერი შეტყობინების ზუსტი ტრანსკრიფციით.